

## განმარტებითი ბარათი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს  
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

პროექტის მომზადება განპირობებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებით, რომლის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეებს წარმოადგენენ მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის – აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები, რომლის მოსამსახურეებიც სარგებლობენ საჯარო მოსამსახურეებისათვის დამახასიათებელი ისეთი უფლებებით, როგორცაა იარაღის ტარების უფლება, სახელმწიფო სპეციალური წოდება და სხვ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მომზადების მიზანია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად, ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი და კანონის მოქმედება გაერცვლდება არა აღსრულების ეროვნული ბიუროს ყველა თანამშრომელზე, არამედ მხოლოდ ბიუროს სტრუქტურული ერთეულის – აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიღება არ მოახდენს გაელენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის მიღება გაელენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გაელენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

წარმოდგენილი პროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

წარმოდგენილი პროექტი არ აღგენს რაიმე გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

წარმოდგენილი პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

წარმოდგენილი პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

წარმოდგენილი პროექტი არ არის მიმართებაში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

წარმოდგენილი პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

წარმოდგენილი პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები მიღებული არ ყოფილა.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

*დ.გ) კანონპროექტის ავტორი*

კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა, ჩიორა თაქთაქიშვილი

*დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი*

კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა, ჩიორა თაქთაქიშვილი